საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მანველიძე რეზო ისმაილის ძე

მანველიძე რეზო ისმაილის ძე (დ. 22. VII. 1954, სოფ. დანდალო, ქედის მუნიციპალიტეტი, აჭარის არ), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ეკონ. და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1975). 1981–2001 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტში ფინანსებისა და დარგობრივი ეკონ. კათედრის პროფესორი (1999–2006), სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკ-ტის პროფესორი, ეკონ. მეცნ. დეპარტამენტის ხელმძღვ. (2006–09), ამავე ფაკ-ტის ეკონ. პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვ. (2009–13). 2013-იდან ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორია.

მ. სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორია. მისი კვლევის ძირითადი სფეროებია: აგრ. ეკონომიკა და აგრ. ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, სახელმწიფოს მართვა.

თხზ.; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი სოფლის მეურნეობაში, ბათ., 1981; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბათ., 1996; სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის შეფასებისათვის, ბათ., 1997; აგრარული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ბათ., 2002.